20410484

**საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის**

# განკარგულება

17/10/2025 N 204

თბილისი

**შპს „გაუს კრიპტო"-ს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის $52^5$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის №36/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შპს „გაუს კრიპტო" (საიდენტიფიკაციო კოდი: 405769654) რეგისტრირებულ იქნას ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი 0029 – 9404.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული და გაუქმებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ჩამონათვალი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge) ზედამხედველობის სექციაში.

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

# Decree N 204

## of the Vice-President of the National Bank of Georgia

## On Registration of "Gaus Crypto" LLC as a Virtual Asset Service Provider

17/10/2025

Tbilisi

On the grounds of article 15, section 1, subsection "g" of the Organic Law of Georgia "On the National Bank of Georgia", Article $52^5$, sections 1 and 2 of the same Organic Law, Article 3 of the Rule "On Approval of the Rule of Registration, Deregistration and Regulation of Virtual Asset Service Provider with the National Bank of Georgia" approved by Order No. 94/04 of the President of the National Bank of Georgia as of June 13, 2023, and Order No. 36/04 of the President of the National Bank of Georgia as of February 13, 2025:

1. "Gaus Crypto" LLC (Identification Code: 405769654) be registered as a virtual asset service provider and assigned registration number 0029 – 9404.

2. The list of virtual asset service providers registered and revoked by the National Bank of Georgia is posted on the National Bank of Georgia website (www.nbg.gov.ge) in the supervision section.

3. The aforesaid Decree may be appealed at the Administrative Cases Board of the Tbilisi City Court (64 D. Agmashenebeli Alley, Tbilisi) within one month from the date of its formal notification to the party.

4. This Decree shall enter into force and effect upon its notification to the party.

Nino Jeladze /signed, sealed/

Vice-President

National Bank of Georgia

*The translation from Georgian into English made by Ms. Marine Maisuradze, the translator with Logos LLC, (translation bureau, 62 Chavchavadze Ave., 0162, Tbilisi, Georgia www.logosi.ge; logosi2015@gmail.com) corresponds to the original*

**საქართველო**

**ორი ათას ოცდახუთი წლის ორ დეკემბერს**, მე, **საქართველოს ნოტარიუსს ნანა ჩუბინიძეს**, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62, სართული 1, ბინა 4**, მომმართა დიპლომირებულმა თარჯიმანმა **მარინე მაისურაძემ**, რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტის თარგმანი ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე და მოითხოვა ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა **მარინე მაისურაძემ** (დაბადების თარიღი: 29.01.1959წ. პირადი ნომერი: 01009006243, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ქავთარაძის ქ. #68, ბინა 30). მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. თარჯიმნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის /დიპლომი Г-I #172578, გაცემული ქალაქ თბილისის ილ. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 30.06.1981 წელს, სარეგისტრაციო ნომრით #357/ ასლი ინახება სანოტარო არქივში.

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს არასწორ თარგმანს. თარჯიმანმა განაცხადა, რომ ის ჯეროვნად ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვამოწმებ.

დოკუმენტი დამოწმდა ერთ ეგზემპლარად, დამოწმდა ერთი ხელმოწერა.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების 31.4 მუხლის თანახმად 6.00 ლარი, ზ/აღნიშნული დადგენილების 39.1 მუხლის თანახმად 5.00 ლარი, აგრეთვე, დღგ: 1.08 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, სულ 12.08 ლარი.

**Georgia**

**On the 2nd day of December of the year 2025**, I, Mrs. **NANA CHUBINIDZE**, Public Notary of Georgia, with my Notary office, located at **apt. #4, floor 1, #62, Ilia Chavchavadze Ave. Tbilisi, Georgia**, was applied by Ms. **Marine Maisuradze,** certified translator. She presented a document translated from Georgian into English and requested notary certification of her signature affixed to it.

I verified her identity and was convinced that I was actually applied by Ms. **Marine Maisuradze** (born on 29.01.1959, personal number №01009006243, residing at: app. #30, #68 Kavtaradze str. Tbilisi, Georgia). I confirm that I have no grounds for doubt her capacity. The copy of the document confirming the qualification of the translator (the diploma Г-I #172578, issued by the Tbilisi Il. Chavchavadze State Pedagogical Institute of Foreign Languages, 30/06/1981, registration #357) is filed at my notary office.

I warned the translator about the responsibility for inaccurate translation. Ms. Marine Maisuradze stated that she has a good command of the Georgian and English languages and warranted the accuracy of the translation. Ms. Marine Maisuradze affixed her signatures in my presence that I certify.

Certified 1 counterpart, 1 signature.

Notary fee: 6.00 GEL under article 31.4 of the Georgian governmental decree #507 as of 29 December 2011 "On the Fee for the Fulfillment of Notary Acts and the approval of the fees, the way of payment and the Service Terms of Georgian Notary Chamber", 5.00 GEL under article 39.1 of the same decree, and VAT: 1.08 GEL under the article 166 of the Tax Code of the Georgia, total 12.08 GEL.

საქართველოს ნოტარიუსი /ნანა ჩუბინიძე/

Public notary of Georgia /Nana Chubinidze/

GEORGIA NOTARY NANA CHUBINIDZE 01025012528

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N251644181 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 02.12.2025 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ნანა ჩუბინიძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62, 1 სართული, ბინა 4; |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2257473 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 82786170420225 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**